

**INSTITUTE FOR
WAR & PEACE REPORTING**



როგორ დავწეროთ სტატიის გეგმა-მონახაზი

© ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის სამხრეთ კავკასიის ბიურო
თბილისი 2015

მიმოხილვა

ჟურნალისტის როლი არის ინფორმაციის შეგროვება და მისი საზოგადოებისთვის ისეთი სახით მიწოდება, რომ ის ადვილად გასაგები იყოს. ამ მიზნის მისაღწევად, ჟურნალისტმა მის ხელთ არსებული ინფორმაცია ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა დაალაგოს.

იმისთვის, რომ ნაბეჭდი ტექსტი ლოგიკური ფორმით იყოს წარმოდგენილი ჟურნალისტმა, სტატიის დაწერამდე, დროის გარკვეული ნაწილი, მის დაგეგმვას უნდა დაუთმოს. ეს არის სტატიის მონახაზი, რომლის შედგენის სტანდარტულ სისტემაში გასარკვევად IWPR ეს ტრენინგმოდული დაგეხმარებათ.

სტატიის დაგეგმვა:

სტატიის სწორად ორგანიზებისთვის გეგმა-მონახაზის შედგენა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი. ის საშუალებას აძლევს ჟურნალისტს მოცემული ინფორმაცია სწორად დაახარისხოს და მკითხველისთვის გასაგები გახადოს. მონახაზი არის ის გეგმა, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტი საბოლოოდ წერს სტატიას; ის არის მომავალი სტატიის ლოგიკური და სტრუქტურული ჩანაწერი. როდესაც ჟურნალისტს მოფიქრებული აქვს სტატიის სტრუქტურა და შედგენილი აქვს მისი გეგმა, მისი დაწერა გაცილებით იოლია.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდით რაღაც თემაზე და დაგიგროვდათ უამრავი ინფორმაცია: ჩანაწერები ინტერვიუებიდან, ოფიციალური დოკუმენტაცია, პრესრელიზები, ამონაბეჭდები ვებგვერდებიდან და აუდიო ჩანაწერები. თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება, რა მასალა შეიტანოთ სტატიაში და რა არა, აგრეთვე დაახარისხოთ ის პრიორიტეტების მიხედვით ისე, როგორც ეს განხილულია ტრენინგმოდულში სტატიის სტილისა და სტრუქტურის შესახებ; ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია სტატიის დასაწყისში უნდა განთავსდეს.

ცოტას თუ იპოვით ისეთ პროფესიონალს, რომელიც სტატიას პირდაპირ, მომზადების გარეშე დაწერს. სასურველია ჟურნალისტმა წერა გეგმის შედგენით დაიწყოს, რომლითაც სტატიის წერისას იხელმძღვანელებს. გეგმა ეხმარება ჟურნალისტს თავისი იდეების ორგანიზებაში:

- აჯგუფებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, რომელიც მოგვიანებით ერთიანი სახით გვევლინება სტატიაში;
- განსაზღვრავს მომავალი სტატიის ჩარჩოებს: რა შევა სტატიაში და რა არა;
- აჩვენებს კავშირს მოცემულ იდეებს შორის;
- წარმოადგენს მასალას ლოგიკური ფორმით: აყალიბებს მომავალი სტატიის თანმიმდევრულ გეგმას და განსაზღვრავს სტატიაში წარმოსადგენი ინფორმაციის სწორხაზოვან მიმართულებას.

სტატიის მონახაზის შედეგად ავტორს ექმნება ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა უნდა დაიწეროს სტატიაში და როგორ. მონახაზი სტატიის ერთგვარ ჩონჩხადაც მოიაზრება, რომელსაც წერის დროს ავტორი ხორცს ასხამს.

ინფორმაციის დაჯგუფება:

მანამ, სანამ გავარკვევთ, როგორ განვსაზღვროთ სტატიის სწორხაზოვანი მიმართულება, განვიხილოთ ის, თუ როგორ უნდა დავაჯგუფოდ ნედლი ინფორმაცია.

როგორც წესი, ჟურნალისტს ყოველთვის უფრო მეტი ინფორმაცია მოეპოვება თავის ჩანაწერებში, ვიდრე ეს უკვე გამზადებულ სტატიაში ჩანს. იმის გამო, რომ სტატიები მოცულობაში შეზღუდულია, ავტორი ცდილობს წერისას მის ხელთ არსებული ინფორმაციიდან საუკეთესო გამოიყენოს. ეს ძირითადად ჟურნალისტის სარედაქციო გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

ინფორმაციის დაჯგუფების შედეგად ჟურნალისტი ირჩევს სტატიის სტილს და ასევე განსაზღვრავს, რომელი ინფორმაციაა მნიშვნელოვანი და რომელი არა, აგრეთვე რა მასალა გაერთიანოს ერთ ჯგუფში. მაგალითად, სტატიაში მოყვანილი ამა თუ იმ ჯგუფის ან პიროვნების შესახებ ყველა საწყისი ინფორმაცია ერთ ჯგუფში ერთიანდება, ასეთი სახით დაჯგუფება ლოგიკურიცაა და ურთიერთშეთავსებადიც. ჟურნალისტი ასევე ერთად შეკრებს ერთი ქვეთემის შესახებ მოყვანილ ორ, თუნდაც საპირისპირო აზრის მქონე ციტატას, რადგანაც მათ ერთი საერთო თემა აერთიანებს.

გეგმა-მონახაზი თავისი სტანდარტული ორგანიზებული ფორმის საშუალებით ეხმარება ჟურნალისტს ინფორმაციის ლოგიკურად დაჯგუფებაში. მონახაზი იწერება რამდენიმე ძირითადი წესის გათვალისწინებით, რომელიც ლოგიკურად და ურთიერთშეთავსებულად აჯგუფებს ინფორმაციას.

უფრო კონკრეტულად, ჟურნალისტს მონახაზი სჭირდება ინფორმაციის სწორად ორგანიზებისთვის. არსებული ინფორმაცია ჯგუფებისა და ამ ჯგუფებში შემავალი ქვეჯგუფების მიხედვით ნაწილდება. თავის მხრივ ეს ქვეჯგუფებიც იყოფა უფრო მცირე ქვე-ქვეჯგუფებად. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ესე თუ ის ინფორმაცია და რა დონეზე დგას იგი: მონახაზში დაწერილი თითოეული ხაზი ამა თუ იმ დონეს შეესაბამება, ერთ დონეზე მყოფი სხვადასხვა სახის ინფორმაციაც კი, თანაბრად მნიშვნელოვანია. დონეების აღნიშვნა ხდება, როგორც სიმბოლოების, ასევე მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით მონაცვლე შეწყვეტილი აბზაცებით.

ყველაზე მაღალი დონე, ძირითადი თემის საათაური აღინიშნება რომაული ციფრებით (I, II, III, IV...). დიდი ლათინური ასოებით (A, B, C, D...) აღინიშნება ის ინფორმაცია რომელიც ზემოთ მოყვანილ საათურებს ექვემდებარება. უფრო დაბალი დონეების აღსანიშნავად სხვადასხვა სიმბოლოები გამოიყენება, ისეთები, როგორიცაა პატარა ლათინური ასოები (a, b, c, d...) და პატარა რომაული ციფრები (i, ii, iii, iv...).

მაგალითისათვის, თუ ჩვენ გვინდა დავაჯგუფოდ ინფორმაცია საკვების შესახებ ჩვენი მონახაზი ასეთი სახის იქნება:

I.	ხილი და ბოსტნეული
II.	რძის პროდუქტები
III.	ხორცი

ამ მონახაზის მიხედვით ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია გადანაწილდება ამ სამ ძირითად ჯგუფში . გარდა ამისა, სტატია, რომელიც ამ მონახაზის მიხედვით დაიწერება პირველად განიხილავს ხილს და ზოსტნეულს, შემდეგ რძის პროდუქტებს და ბოლოს ხორცს.

შემდგომი დასათაურებისთვის ვიყენებთ დიდ ლათინურ ასოებს:

- | | |
|-------------|--------------------------|
| I. | ხილი და ზოსტნეული |
| II. | რძის პროდუქტები |
| | A. ყველი |
| | B. რძე |
| | C. იოგურტი |
| III. | ხორცი |

ამგვარად, ჩვენ განვაჯგუფეთ მეორე ძირითადი თავი და მასში სამი ქვეჯგუფი შევიყვანეთ: ყველი, რძე და იოგურტი. სამივე ქვეჯგუფი ეკუთვნის „რძის პროდუქტების“ სექციას - მათი განხილვა სქემის რომელიმე სხვა თავში არ იქნებოდა ლოგიკური.

სტატია, რომელიც ამ მონახაზის მიხედვით დაიწერება რძის პროდუქტებზე ზუსტად ამ თანმიმდევრობით ისაუბრებს. ამრიგად, მონახაზი არის ის ძირითადი გეგმა, რომლის მიხედვითაც იწერება სტატია.

შემდგომი ქვესათაურების აღსანიშნავად ვიყენებთ ჩვეულებრივ ციფრებს:

- | | |
|-------------|--------------------------|
| I. | ხილი და ზოსტნეული |
| II. | რძის პროდუქტები |
| | A. ყველი |
| | 1. მაგარი ყველი |
| | 2. რბილი ყველი |
| | B. რძე |
| | C. იოგურტი |
| III. | ხორცი |

ორივე ახალი დასახელება მიეკუთვნება „ყველის“ ჯგუფს და ამიტომაც განთავსდა აქ.

აქედანვე ვგებულობთ, რომ თავი, რომელიც ყველს შეეხება, მოგვითხრობს ორნაირი ყველის, მაგარი და რბილი სახეობის შესახებ.

თუ საკითხს უფრო დეტალურად ჩაველრმავდებით და თემას განვავრცობთ, ინფორმაციის დაჯგუფება პატარა ლათინური ასოებისა და შეწეული აბზაცების გამოყენებით შეგვიძლია:

- I. ხილი და ბოსტნული**
- II. რძის პროდუქტები**
 - A. ყველი**
 - 1. მაგარი ყველი**
 - a. ედამი**
 - b. ჩედარი**
 - c. ემენტალური**
 - 2. რბილი ყველი**
 - B. რძე**
 - C. იოგურტი**
- III. ხორცი**

ჩვენ განვავრცეთ მაგარი ყველის სექცია და მასში სამი კონკრეტული ყველის სახეობა შევიყვანეთ. ყველა მათგანი მაგარი ყველის სახეობას მიეკუთვნება და ამიტომაც „მაგარი ყველის“ ქვეთავში გაერთიანდა.

საკვების შესახებ სტატიის მონახაზის საბოლოო ვარიანტი ასეთ სახეს მიიღებს:

I. ხილი და ბოსტნეული

A. ხილი

1. კენკრა
 - a. მარწყვი
 - b. მოცვი
2. ხის ნაყოფი
 - a. ვაშლი
 - i. წითელი ვაშლი
 - ii. მწვანე ვაშლი
 - b. ატამი
 - c. მსხალი
 - d. ქლიავი

B. ბოსტნეული

1. ბოლქვისებრი
 - a. კარტოფილი
 - b. ხახვი
 - c. სტაფილო
2. მწვანე ბოსტნეული
 - a. წიწაკა
 - b. სალათი
 - c. ყაბაყი

II. რძის პროდუქტები

C. ყველი

1. მაგარი ყველი
 - a. ედამერი
 - b. ჩედარი
 - c. ემენტალი
2. რბილი ყველი
 - a. ფეტა
 - b. კვარცი

D. რძე

1. თხევადი რძე
2. რძის ფხვნილი

E. იოგურტი

1. უბრალო იოგურტი
2. იოგურტი ხილით

II. ხორცი

A. საქონლის

1. სტეიკი
2. ქაბაბი
3. ჩაშუშული

B. ცხვრის

1. ქაბაბი
2. სოსისი

C. თხის

1. ქაბაბი
2. შემწვარი ციკანი

როგორც ხედავთ, მივიღეთ სრული მონახაზი, ფაქტობრივად სტატიის ჩონჩხი.

საკვების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია ლოგიკური თანმიმდევრობით არის დანაწილებული ჯგუფებად, ქვეჯგუფებად და ქვე-ქვეჯგუფებად. თითოეული ჯგუფი და ქვეჯგუფი ყველაზე მცირე ორი ნაწილისაგან მაინც შედგება. თუ საგანი მხოლოდ ერთ ნაწილს მოიცავს, ის ერთ ხაზს იკავებს. ყველა შემთხვევაში “A” -ს მოსდევს “B”.

საყურადღებოა ასევე ისიც, თუ როგორ მოხდა ჩვენი ინფორმაციის ორგანიზება. მაგალითად, ჩავთვალეთ რომ ყველს, რძეს და იოგურტს სტატიაში თანაბრად მნიშველოვანი ადგილი უჭირავთ, თუმცა ყველს უფრო მეტი ყურადღება დავუთმეთ, ვიდრე რძეს.

რასაკვირველია, შესაძლებელი იყო ამავე ინფორმაციის სხვაგვარად ორგანიზება და აქედან გამომდინარე, ამ გეგმის სხვანაირად შედგენაც. მაგალითად შეგვეძლო „ხორციში“ მთავარ (A, B, C) ქვეთავებად გაგვეერთიანებინა „ქაბაბი“, „ჩაშუშული“ და „სოსისი“ და შემდეგ მათ ქვეშ ჩამოგვეთვალა ყველა ამ კერძის ნაირსახეობა. თუმცა, ეს მხოლოდ ავტორის გადასაწყვეტილებაზე დამოკიდებულია.

საყურადღებოა ასევე ისიც, რომ თანმიმდევრობა, რომლითაც ესა თუ ის საკვები არის წარმოდგენილი მონახაზში, დაცული უნდა იყოს სტატიაშიც.

ამ მარტივი მაგალითის საშუალებით, გვინდოდა გვეჩვენებინა ის პროცესი, თუ როგორ ხდება ინფორმაციის ორგანიზება და დაჯგუფება. უფრო რთულ მაგალითს მოგვიანებით განვიხილავთ, თუმცა მანამდე

გავაკეთოთ ქვემოთ მოყვანილი სავარჯიშო.

სავარჯიშო პირველი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სიტყვები და ფრაზები, რომლებიც დაკავშირებულია ტრანსპორტთან. ისინი არეულადაა წარმოდგენილი და თქვენი ამოცანაა, დაჯგუფოთ ისინი და დაწეროთ გეგმა-მონახაზი. შეგიძლიათ რამდენიმე სიტყვა დაამატოთ და ისინი ძირითად სათაურებს მოარგოთ.

შეეცადეთ ინფორმაცია ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობით წარმოადგინოთ და ის შესაბამის სათაურებსა და ქვესათაურებს შეუსაბამოთ.

სამუშაოს დასრულებისთანავე თქვენი მონახაზი დანარჩენი მონაწილეების ნაშრომებს შეადარეთ. ამ სავარჯიშოსთვის ერთი სწორი პასუხი არ არსებობს, თუმცა პასუხების უმეტესობა არასწორია. ხშირად დაუსვით თქვენს თავს შეკითხვა: არის თუ არა ინფორმაცია თქვენს მონახაზში ლოგიკურად ორგანიზებული?

თვითმფრინავი	სატვირთო მანქანა	ლახტზე ხტომა	ორსექციანი ავტობუსი
ველოსიპედი	ლიფტი	რეაქტიული თვითმფრინავი	მოტოციკლეტი
მატარებელი	სიარული	ციგურები	ავტობუსი
სავარძლის ამწე	საბაგიროს/ფუნქციური კაბინა	მეტრო	სირბილი
ფაეტონი	სამბორბლიანი მოტოციკლეტი/ველოსიპედი	მანქანა	აქლემი
მინი-ავტობუსი	პროპელერის თვითმფრინავი	ტაქსი	ტრამვაი
სკეიტ-ბორდი	ფურგონი/მინიავტობ.	ცხენი	ვირი
ეტლი/სავარძელი	ესკალატორი	ორსართულიანი ავტობუსი	სკუტერი
თხილამურები	ამერიკული მთები-ატრაქციონი	პარაშუტი	ვერტმფრენი

სტატიის გეგმა-მონახაზი:

ჟურნალისტური სტატიის გეგმა-მონახაზი

ჟურნალისტური სტატიის გეგმა-მონახაზის სპეციფიკა დიდად არ განსხვავდება იმისაგან, რაც საჭმლის და ტრანსპორტის მაგალითებზე განვიხილეთ. მთავარი, რაც ყველა მონახაზს აერთიანებს არის ინფორმაციის დაჯგუფება სტრუქტურული და ლოგიკური თანმიმდევრობით.

სტატიის მონახაზი, ისევე როგორც თავად სტატია, სწორხაზოვანი უნდა იყოს. განხილულ მაგალითებში ეს არც თუ ისე ნათლად ჩანდა, რადგან ჩვენ მთელი ყურადღება ჯგუფების შექმნაზე უფრო გვექონდა გამახვილებული, ვიდრე მათ თანმიმდევრობაზე.

გეგმა-მონახაზი განსაზღვრავს იმას, თუ რა თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი მოცემული ინფორმაცია. ის, რაც გეგმა-მონახაზის დასაწყისშია წარმოდგენილი, ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაწილია და ამიტომ, სტატიაშიც პირველ ადგილს დაიკავებს, ხოლო ის, რაც ბოლოშია, არის დასკვნა და შესაბამისად, სტატიაშიც დასკვნით ნაწილში გამოჩნდება.

ჩვენ, ჟურნალისტები, სტატიაზე მუშაობის დროს, გაცილებით მეტ ინფორმაციას და მეტ დეტალს ვაგროვებთ, ვიდრე ეს ერთ პატარა სტატიაში ჩაეტევა. როდესაც დგება წერის დაწყების მომენტი, საჭიროა დავახარისხოთ მოპოვებული მასალა და გავაკეთოთ რამდენიმე არც თუ ისე ადვილი არჩევანი:

1. ჩემს ხელთ არსებული რომელი ინფორმაცია არის ყველაზე მნიშვნელოვანი?
2. კიდევ რომელი ინფორმაცია არის მკითხველისთვის აუცილებლად გადასაცემი?
3. რომელი ინფორმაცია არის ნაკლებად მნიშვნელოვანი და არ უნდა შევიდეს სტატიაში?

თუ გავიხსენებთ IWPR ტრენინგმოდულს სტატიის სტილისა და სტრუქტურის შესახებ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის, რაც მონახაზში პირველ ადგილს იკავებს ანუ სათაური “I”, ნიუს ანალიტიკურ სტატიაში ლიდის სახეს იღებს: ერთი წინადადება რომელიც გვაგებინებს რა მოხდა და რატომ არის ეს ამბავი მნიშვნელოვანი.

მომდევნო ორი ქვესათაური, რომლებიც ნიუს ანალიტიკური სტატიაში მომდევნო ორ აბზაცს ემთხვევა, ლიდზე იშლება. “I.A.” გაიშლება მოვლენის დეტალებზე, ხოლო “I.B.” - მოვლენის მნიშვნელობაზე. მთავარი სათაური “II” შეიძლება იყოს ამბის კონტექსტი, მესამე და მეოთხე აბზაცები კი ჩვენი ნიუს ანალიტიკური სტატიის მიმოხილვა. მომდევნო სათაურებში კლებულობს სიმწვავე, თუმცა არგუმენტების გასამყარებლად დეტალებისა და ციტატების მოშველიება მაინც მნიშვნელოვანია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნიუს ანალიტიკური სტატიის გეგმა-მონახაზი შემდეგნაირ სახეს მიიღებს:

I.	ლიდი
	A. ახალი ამბავი
	B. მნიშვნელობა
II.	კონტექსტი
	A. კონტექსტი 1
	B. კონტექსტი 2
III.	სხული: ციტატები და დეტალი 1
IV.	სხული: ციტატები და დეტალი 2
V.	სხული: ციტატები და დეტალი 3
VI.	ა.შ.
VII.	დასკვნა

აღსანიშნავია, რომ ასეთი გეგმა-მონახაზი შეიძლება დაიწეროს ფიჩერზისთვისაც, თუმცა ფიჩერზის სტრუქტურა უფრო ცვალებადია და არაერთგვაროვანი. ყველა სტატიას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სტრუქტურა და ის მონახაზიშივე უნდა იყოს გამოკვეთილი. ქვემოთ მოყვანილია სავარაუდო, ძალიან ზოგადი, კონცეპტუალური გეგმა-მონახაზი ფიჩერზისთვის:

I. სიუჟეტის გახსნა

A. თავდაპირველი სურათის შექმნა

B. ახსენით რას გვიჩვენებს სურათი

II. სხეული: ციტატები და დეტალი 1

III. სხეული: ციტატები და დეტალი 2

IV. სხეული: ციტატები და დეტალი 3

V. სხეული: ა.შ.

VI. დასკვნა: ვუბრუნდებით საწყის სიუჟეტს

პრაქტიკული მაგალითი:

შემდეგი მონახაზი ნამდვილ მაგალითს ეფუძნება. ჟურნალისტმა თავისი ანალიტიკური სტატიისთვის მოძიებული მასალიდან აარჩია ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები და ასეთი გეგმა მონახაზი მიიღო:

I. ლიდი: ახალი რადიოსადგური დუშანბეში მედიის უფრო მეტი თავისუფლების იმედს იძლევა

- A. ტაჯიკეთის პრეზიდენტი რადიოსადგურ აზია-პლუსს მხარდაჭერას უცხადებს
- B. არასამთავრობოები და სხვა ორგანიზაციები ფაქტს აფასებენ როგორც მედიის თავისუფლებისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს

II. კონტექსტი: სუსტი მედია-ბაზარი დუშანბეში

- A. ქალაქში მოსახლეობის მეექვსედი ცხოვრობს
- B. ათი წლის მანძილზე ყოველდღიური გაზეთის არარსებობა
- C. ადგილობრივი ტელევიზია სულს დაფავს
 1. კერძო რადიოს ან ტელევიზიის არარსებობა
 2. სახელმწიფო ტელევიზია: ხალხური მუსიკა, ძველი საბჭოთა და პირატული ჰოლივუდური ფილმები
 3. რუსული ტელე არხი RTR
- D. შედარება აღმა-ათასთან, სადაც ათზე მეტი კერძო FM რადიოარხია

III. ახალ ვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ციტატები

- A. რახმონოვი: “ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს...”
- B. ნაზაროვი (ეუთო):
 1. „ეს გადაწყვეტილება დემოკრატიისაკენ სვლის წინაპირობაა...“
 2. „ეს უეჭველად პოზიტიური ფაქტორია...“

IV. უფრო მეტი კონტექსტი აზია-პლუსის და რადიო NIC შესახებ

- A. 1997 წლიდან მიმართავდნენ ლიცენზიისთვის
- B. ივლისის დასაწყისი, SCTR-მა ლიცენზიის გაცემაზე უარი განაცხადა

V. მნიშვნელოვანი შეხვედრა, რამაც პრეზიდენტს აზრი შეაცვლივინა

- A. 29 ივლისს აზია-პლუსის დირექტორ ბაბახანოვთან 90 წუთიანი შეხვედრა შედგა
- B. რახმონოვის ნაბიჯები
 1. მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს დაევალა ფორმალური საკითხების სწრაფად მოგვარება
 2. SCTR თავმჯდომარეს რაჯაბოვს დაევალა პროცესის დაჩქარება
- C. ბაბახანოვის განმარტება: ხელისუფლება იყურება უცხოეთისკენ
 1. ქვეყნის იმიჯის გაზრდა
 2. უფრო მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვა

VI. კარშიბოევის, ნმა-ის თავმჯდომარე, ექვები: "გადაწყვეტილება..."

VII. მაუწყებლობის საწყისი გეგმა

- A. დუშანბე და მეზობელი რეგიონები
- B. დღეში რვა-ცხრა საათი (გაიზრდება დღეში 24 საათამდე)
- C. პროგრამა მოიცავს
 1. მუსიკას
 2. ახალი ამბების მოკლე ჩართვებს რუსულ და ტაჯიკურ ენებზე
 3. გართობა
 4. შემეცნებითი გადაცემები

ეს კი არის ამ მონახაზის მიხედვით დაწერილი სტატია:

პრეზიდენტის მხარდაჭერა ახალი დამოუკიდებელი რადიოსადგურის გახსნასთან დაკავშირებით მედიის მეტი თავისუფლების იმედს იძლევა.

ტაჯიკეთის პრეზიდენტმა მოულოდნელად გამოხატა თავისი მხარდაჭერა დამოუკიდებელი რადიოსადგურის მიმართ, რომელიც დედაქალაქში მაუწყებლობის ლიცენზიის მოპოვებას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ცდილობდა.

პრეზიდენტ იმომალი რახმონოვის ჩარევას ამ საკითხის მოგვარებაში დადებითი რეაქცია მოჰყვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, მათი აზრით, ეს არის ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯი.

დუშანბეში ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ერთი მეექვსედი ცხოვრობს, თუმცა ქალაქში არც ერთი კერძო ტელე ან რადიოკომპანია არ მაუწყებლობს, უფრო მეტიც, ყოველდღიური გაზეთი ათ წელზე მეტია არ დაბეჭდილა, თითქმის იმდენი ხანი, რაც ქვეყანა დამოუკიდებელია. სახელმწიფო ტელეარხების მაუწყებლობა ფოლკლორული მუსიკის, ძველი საბჭოთა და პირატული ჰოლივუდური ფილმების ჩვენებით შემოიფარგლება. მოსახლეობა იძულებულია ახალი ამბები რუსული ტელეხის RTR-ის საშუალებით გაიგოს.

დუშანბესაგან განსხვავებით, მეზობელი ყაზახეთის ქალაქ ალმა-ათაში ათზე მეტი კომერციული FM რადიოსადგური მაუწყებლობს.

„ჩვენ ბევჯერ გვითქვამს, რომ ტაჯიკეთი აშენებს სამართლიან, დემოკრატიულ საზოგადოებას და ჩვენ არ ვაპირებთ ამ კურსიდან გადახვევას, მათ შორის მედიის განვითარების სფეროც იგულისხმება“, - განაცხადა პრეზიდენტმა რახმონოვმა.

ტაჯიკეთში ეუთოს (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) თავმჯდომარის მოადგილემ ვადიმ ნაზაროვმა IWPR -თან საუბრისას განაცხადა, რომ გადაწყვეტილება აზია-პლუსისთვის სამაუწყებლო ლიცენზიის მინიჭების შესახებ, შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის დემოკრატიულობისაკენ სვლის ერთგვარ წინაპირობად.

„რასაკვირველია, ეს დადებითი ფაქტორია, რადგან დამოუკიდებელი რადიოსადგურის გახსნა დედაქალაქში მოსახლეობის ინფორმაციულ არეალს გააფართოვებს“, - ამბობს ის.

აზია-პლუსი და კიდევ ერთი ჯგუფი, რადიო NIC ლიცენზიის მოპოვებას 1997 წლიდან ცდილობს. ივლისის დასაწყისში, ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო კომიტეტისგან (SCTR) მათ ისევ უარი მიიღეს.

თუმცა, პრეზიდენტ რახმონოვისა და აზია-პლუსის გენერალური დირექტორის უმედ ბაბახანოვის უპრეცედენტო, 90 წუთიანი შეხვედრის შემდეგ, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს ფორმალური საკითხების სწრაფად მოგვარება დაევალა.

ივლისის ბოლოს გამართულ საპარლამენტო სხდომაზე რახმონოვის ბრძანებით SCTR -ის თავმჯდომარეს უბაიდულო რაჯაბოვს დაევალა აზია-პლუსისთვის ლიცენზიის გაცემის პროცესის დაჩქარება, არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში.

როგორც ბაბახანოვმა IWPR-თან საუბრისას განაცხადა, დამოუკიდებელი რადიოსადგურისთვის ლიცენზიის გაცემით ხელისუფლება ცდილობს ქვეყნის იმიჯი უკეთ წარმოაჩინოს და ამით ხელი შეუწყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

თუმცა, ბევრი დამკვირვებელი ეჭობს, რომ მანამ, სანამ ლიცენზიის გაცემის საკითხი SCTR -ის ხელშია არაფერი შეიცვლება. „სიტუაცია შესაძლებელია ისევ განმეორდეს, მანამ, სანამ არ შეიქმნება დამოუკიდებელი ორგანო“, - აცხადებს ნაციონალური მედია ასოციაციის თავმჯდომარე, ნურიდინ კარშიბოევი. „გადაწყვეტილება ტელევიზიისთვის ან რადიოსთვის ლიცენზიის მინიჭების თაობაზე უნდა მიიღოს საზოგადოებრივმა საბჭომ“.

საწყისი გეგმის მიხედვით, რადიოსადგური მაუწყებლობას განახორციელებს დუშანბესა და მის მიმდებარე რეგიონებში დღეში რვა-ცხრა საათის განმავლობაში. პროგრამა მოიცავს მუსიკას, ახალი ამბების მცირე ჩართვებს რუსულ და ტაჯიკურ ენებზე, აგრეთვე შემეცნებითი გადაცემებს. დაფუძნების შემდეგ შესაძლებელია მაუწყებლობის გაზრდა 24 საათამდე.

გვსურს გავამახვილოთ ყურადღება რამდენიმე ასპექტზე, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად კარგად არის ერთმანეთთან თანხვედრაში მონახაზი და სტატია.

პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეთ რამდენად მიჰყვება სტატია მონახაზის სწორხაზოვან დინებას; ის რაც მონახაზში პირველ ადგილას იკავებს, სტატიაშიც პირველად გვხვდება.

მეორე, დაუკვირდით, მიმოხილვა არ მოიცავს მომავალი სტატიის ყველა დეტალს, ბოლოს და ბოლოს ის ხომ სტატიის გეგმაა და არა თავად სტატია. ავტორმა მონახაზში ჩაინიშნა ის, რაც არ უნდა რომ გამორჩეს სტატიაში.

მესამე, მიაქციეთ ყურადღება, მონახაზის სათაურები ყოველთვის არ ემთხვევა აზრს. მონახაზის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის არის ერთგვარი რუკა, რომელიც მიგიყვანთ დანიშნულების ადგილამდე, თუმცა რუკაზე ნანახი შეიძლება რეალური სურათისაგან ცოტათი განსხვავებული იყოს.

დასკვნა:

იმისათვის, რომ სრულად დაეუფლოთ გეგმა-მონახაზის შედგენას, რაც შეიძლება მეტი უნდა წეროთ. ყოველ თქვენ მიერ დაწერილ სტატიას, წინ მონახაზი უნდა უძღოდეს. ამიტომ, დაწერეთ არჩეული ამბის მონახაზი ამ ტრენინგმოდულში მოყვანილი ინფორმაციის გამოყენებით.

უპირველეს ყოვლისა, თავი მოუყარეთ თქვენ მიერ შეგროვილ ინფორმაციას და დააჯგუფეთ ის ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. შემდეგ, განსაზღვრეთ პრიორიტეტული ჯგუფები და დაალაგეთ ისინი მონახაზში ისე, რომ მიიღოთ ლოგიკურად და სტრუქტურულად გამართული ხერხემალი, რაზეც თქვენი მომავალი სტატია აიგება.

მუშაობის პროცესში IWPR რედაქტორი/ტრენერი დაგაკვლიანებთ და შეაფასებს თქვენს საბოლოო ნაშრომს. როდესაც თქვენს მონახაზზე დაყრდნობით დაწერთ სტატიას, მიხვდებით თუ რამდენად ეხმარება ის ჟურნალისტს და ზოგავს მის დროს.

ბიბლიოგრაფია და ბმულები:

Developing an Outline: Purdue University Online Writing Lab

<https://owl.english.purdue.edu/owl/resource/544/02/>

Journalism and Journalistic Writing

<https://owl.english.purdue.edu/owl/resource/544/02/>

How to Write an Outline (Albany)

<http://www.albany.edu/eas/170/outline.htm>